



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№34

30 ივლისი 2018 წელი

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერთანხმობის მიცემის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წ 13 ივლისს შემოსულია სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის დირექტორის მომართვა (სარეგისტრაციო №140) რომლითაც ითხოვენ სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4¹ მუხლის „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელის მინიჭების თაობაზე.
2. გამოცემული განკარგულების ასლი გადაეგზავნოს სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი